Bakhvi HPP

შპს “ბახვი 2”

ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლა

ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლა დამტკიცებულია

კომპანიის დირექტორის მიერ: გიორგი აბრამიშვილი

2025

სარჩევი

შესავალი 3
ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის მიზანი 4
ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის არეალი 4
ადამიანის უფლებების რისკების იდენტიფიკაცია 5
ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რისკების შეფასება 5
რისკების შეფასების მაგალითი 6
შემარბილებელი ღონისძიებები 6
მონიტორინგი და ანგარიშგება 7
ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის წლიური გადახედვის პროცესი 7
დანართი N1 9

შპს ბახვი 2
ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლა

შესავალი

შპს „ბახვი 2“ (შემდგომში - „კომპანია“) გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე ახორციელებს ჯამური 35.4 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 2“ ჰესის (ბახვი 2ა, ბახვი 2ბ) მშენებლობას სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 29 მაისის N241/ს ბრძანებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი გადაწყვეყტილების თანახმად. კომპანიის ინვესტორები არიან „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი“ (სი-სი-ი-ეიჩ), ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ და სხვა სპეციალიზებული ინვესტორები ავსტრიიდან და საქართველოდან. „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის“ ინვესტორები კი თავის მხრივ, არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკიდან და ევროპული ქვეყნებიდან (მათ შორის - ევროპის საინვესტიციო ბანკი [EIB], ჰოლანდიის განვითარების ბანკი [FMO], ავსტრიის განვითარების ბანკი [OeEB] და სხვა). აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ ფლობს მრავალფეროვან ბიზნეს პორტფელს რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში.

„ბახვი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ხორციელდება მდ.ბახვისწყალზე ზღვის დონიდან 1 378-506 მ ნიშნულებს შორის. პროექტი ითვალისწინებს 2 სადგურის მოწყობას, ბახვი 2ა, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 11.6 მგვტ-ს და ბახვი 2ბ, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 23.8 მგვტ-ს.

„ბახვი 2ა“ სადგური წარმოადგენს ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესს, რომლის შემადგენლობაშია სათავე ნაგებობა, სადაწნეო სისტემა და მიწისზედა ჰესის შენობა, სადაც განთავსებულია ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის საჭირო ყველა ელექტრო და მექანიკური აღჭურვილობა. ელექტროსადგურის სრული დაწნევა შეადგენს 311.55 მ-ს, ხოლო საპროექტო წყლის ხარჯი შეადგენს 4.6$მ^3$/წმ-ს. საშუალო წლიური გამომუშავება იქნება 45.5 გვტ/სთ.

„ბახვი 2ბ“ წარმოადგენს ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესს, რომლის შემადგენლობაშია სათავე ნაგებობა, სადაწნეო სისტემა და მიწისზედა ჰესის შენობა. ელექტროსადგურის სრული დაწნევა 551.2 მ-ია, ხოლო საპროექტო ხარჯი 5.3$მ^3$/წმ. საშუალო წლიური გამომუშავება შეადგენს 92.8 გვტ/სთ-ს.

შპს „ბახვი 2“ საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების IFC-ისა და EIB-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

შპს „ბახვი 2“ იღებს ვალდებულებას, დაიცვას და ხელში შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას საქმიანობის ყველა მიმართულებით. მოცემული ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის პროცესი ასახავს ჩვენს ერთგულებას, გამოვავლინოთ, თავიდან ავიცილოთ და შესაბამისი ზომები მივიღოთ ადამიანის უფლებებზე შესაძლო ზეგავლენის აღმოსაფხვრელად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად, როგორიცაა გაეროს გლობალური შეთანხმება და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტები. ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის პროცესის მეშვეობით, ჩვენ მიზნად ვისახავთ სამართლიანი, ინკლუზიური და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას, ჩვენი საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული საზოგადოების უფლებების

დაცვას და მათ ცხოვრებაში დადებითი წვლილის შეტანას. ჩვენი ერთგულება გამჭვირვალობის, ეთიკური ლიდერობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების მუდმივი სრულყოფის მიმართ წარმოადგენს ჩვენი ბიზნესის ფილოსოფიის საფუძველსა და მდგრადი წარმატების ქვაკუთხედს.

აღნიშნული დოკუმენტი ასახავს ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის პროცესს, რომელსაც შპს „ბახვი 2" იყენებს იმისთვის, რომ გამოავლინოს, შეაფასოს, შეარბილოს და გააკონტროლოს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რისკები ჩვენს საქმიანობაში. დოკუმენტი მოიცავს ძირითადი ადამიანის უფლებათა რისკების იდენტიფიცირებას, მათი გავლენის სიღრმისეულ შეფასებას და იმ ზომების დეტალურ აღწერას, რომლებიც მიმართულია შესაძლო დარღვევების პრევენციასა და აღმოფხვრაზე. მოცემული ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის პროცესი უზრუნველყოფს ჩვენს შესაბამისობას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და ასახავს ჩვენს ვალდებულებას პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკების მიმართ, რომლებიც პატივს სცემს თანამშრომლების, საზოგადოებებისა და ჩვენი საქმიანობის ფარგლებში მოქცეული სხვა დაინტერესებული მხარეების უფლებებს.

ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის მიზანი

მოცემული ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის ძირითადი მიზანია პრევენციულად გამოავლინოს, მოაგვაროს და შეარბილოს ის რისკები, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს შპს „ბახვი 2"-ის საქმიანობასთან, მომარაგების ჯაჭვთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ არსებით ადამიანის უფლებათა რისკებზე, რომლებიც წარმოადგენს ყველაზე კრიტიკულ საკითხებს, სადაც ზიანის გამოწვევის ალბათობა ან სერიოზულობა ყველაზე მაღალია. აღნიშნული მოიცავს შრომის უფლებების დაცვას, დისკრიმინაციის აღმოფხვრას, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების უზრუნველყოფას, გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლების მხარდაჭერას, ასევე იმ ადგილობრივი თემების კეთილდღეობის ხელშეწყობას, რომლებიც ჩვენი საქმიანობის ოპერირების ზონაში იმყოფებიან.

ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის არეალი

მოცემული ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის პროცესი მოიცავს შპს "ბავხი 2"-ის ოპერირების ყველა ასპექტს, მათ შორის თანამშრომლებს, კონტრაქტორებს და იმ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც ჩართული არიან ჩვენს საქმიანობაში ან არიან ჩვენი ოპერირების გავლენის ქვეშ. ეს ყოვლისმომცველი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ჩვენი ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის პროცესი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა შრომითი უფლებები, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, დისკრიმინაციის აღმოფხვრა, გამოხატვის თავისუფლება, იძულებითი შრომის, თანამედროვე მონობისა და ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, უზრუნველვყოთ, რომ ყველა ბიზნეს-მიმართულება, მათ შორის მომწოდებლებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობა, სრულად შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს და პრინციპებს.

ადამიანის უფლებების რისკების იდენტიფიკაცია

შპს "ბახვი 2"-ის ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის პროცესი ეფუძნება იმ შესაძლო ადამიანის უფლებების რისკების იდენტიფიკაციას, რომლებიც მოიცავს ჩვენი საქმიანობის შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

1. *შრომისა და დასაქმების უფლებები*
   იძულებითი შრომის, ბავშვთა შრომის, დისკრიმინაციისა და არასამართლიანი დასაქმების პრაქტიკის რისკი.
2. *ჯანმრთელობა და უსაფრთხოება*
   არასათანადო სამუშაო პირობების, უბედური შემთხვევებისა და ჯანმრთელობისთვის მავნე გარემოს რისკი თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისთვის.
3. *ადგილობრივი თემები*
   ჩვენი ოპერირებით გამოწვეული ადგილობრივი თემების ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და საარსებო წყაროებზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის რისკი.
4. *მომარაგების ჯაჭვი*
   მომარაგების ჯაჭვში ადამიანის უფლებების დარღვევის, მათ შორის ექსპლუატაციისა და იძულებითი შრომის რისკი.
5. *გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლება*
   თანამშრომლებისა და კონტრაქტორების თავისუფალი გაერთიანებისა და საკუთარი პრობლემების გამოთქმის უფლების შეზღუდვის რისკი.

ზემოთ მოყვანილ ასპექტების შესახებ რისკების იდენტიფიკაციით, შპს "ბახვი 2" უზრუნველყოფს, რომ პრიორიტეტულად განსაზღვროს თავისი ქმედებები ადამიანის უფლებების დასაცავად და შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად.

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რისკების შეფასება

იდენტიფიცირებული რისკების შესაფასებლად შპს "ბახვი 2" იყენებს სტრუქტურირებულ რისკების შეფასების ჩარჩოს, რომელიც შემდეგ კატეგორიებზეა დაფუძნებული:

- ზემოქმედების სიმძიმე: რისკის შედეგად შესაძლო ზიანის მასშტაბი (მაგალითად, ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან ფინანსური ზიანი);
- ალბათობა: იდენტიფიცირებული რისკის მატერიალიზაციის ალბათობა;
- ჰიდროელექტროსადგურის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეები: იმ ადამიანთა ჯგუფები (მაგალითად, თანამშრომლები, ადგილობრივი თემები, კონტრაქტორები), რომლებზეც რისკმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს;
- შემარბილებელი ღონისძიებები: არსებული ან დაგეგმილი კონტროლის მექანიზმები და ქმედებები რისკის პრევენციის ან შერბილების მიზნით;
- ნარჩენი რისკები: შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემდეგ დარჩენილი რისკები, რომელიც კვლავ საჭიროებს ყურადღებას.

ყოველი რისკი შეფასდება შესაბამისი მასშტაბის მიხედვით (დაბალი, საშუალო, მაღალი) იმის უზრუნველსაყოფად, რომ პრიორიტეტები სწორად განისაზღვროს და შემარბილებელი ღონისძიებები პროპორციულად იქნას განსაზღვრული რისკის სიმძიმის შესაბამისად.

რისკების შეფასების მაგალითი

რისკის კატეგორია	რისკის აღწერა	სიმძიმე	ალბათობა	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები	შემარბილებელი ღონისძიებები	ნარჩენი რისკები
შრომითი უფლებები – იძულებითი შრომა	მომარაგების ჯაჭვში იძულებითი შრომის რისკი	მაღალი	საშუალო	თანამშრომლები კონტრაქტორები	მომწოდებლების სკრინინგი, კონტრაქტის სპეციალური პირობები, მესამე მხარის აუდიტი	დაბალი
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება – უბედური შემთხვევები	სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევების რისკი	საშუალო	მაღალი	თანამშრომლები კონტრაქტორები	ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ტრენინგი, აღჭურვილობის რეგულარული მოვლა	საშუალო
ადგილობრივ თემებზე ზეგავლენის მოხდენა	ადგილობრივი ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის დეგრადაციის შედეგად ადგილობრივი თემების ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, საარსებო წყაროებსა და კულტურულ ღირებულებებზე ზეგავლენის რისკი	მაღალი	დაბალი	ადგილობრივი თემები	ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და აღდგენა; კონსერვაციის დაგეგმვაში ადგილობრივი თემების ჩართვა; ბიომრავალფეროვნების მუდმივი მონიტორინგი და შემარბილებელი ღონისძიებების გატარება	დაბალი

შემარბილებელი ღონისძიებები

შპს "ბახვი 2" ახორციელებს კონკრეტულ შერბილების ღონისძიებებს, რათა მართოს და შეამციროს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რისკები. აღნიშნული ზომები მოიცავს:

- *მომწოდებლებთან ურთიერთობა და აუდიტი:* მომწოდებლებისა და კონტრაქტორების რეგულარული აუდიტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან, განსაკუთრებით იძულებითი შრომის, ბავშვთა შრომის აღმოფხვრისა და სამართლიანი სამუშაო პირობების შექმნის მიმართულებით.
- *შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისა პოლიტიკა:* სამუშაო გარემოს უსაფრთხოების პროტოკოლების გაძლიერება, სავალდებულო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ტრენინგების ორგანიზება და თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისათვის მაღალი ხარისხის დამცავი საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- *საზოგადოებასთან ურთიერთობა:* აქტიური თანამშრომლობა ადგილობრივ თემებთან, მათი საჭიროებების უკეთ გასაგებად. იმ პროექტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალედ მიწოდება, რომლებსაც მათზე შესაძლოა ჰქონდეთ გავლენა. საჭიროების შემთხვევაში, კომპენსაციის ან ალტერნატიული საარსებო წყაროების შეთავაზება.
- *საჩივრების მექანიზმები:* ხელმისაწვდომი და კონფიდენციალური საჩივრების მექანიზმების დანერგვა, რომელიც თანამშრომლებს, კონტრაქტორებს და ადგილობრივი თემის წევრებს საშუალებას მისცემს, გამოთქვან შეშფოთება შიშის გარეშე.

- *სასწავლო პროგრამები:* სავალდებულო ტრენინგების დანერგვა ადამიანის უფლებების შესახებ თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისთვის. განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება დისკრიმინაციის პრევენციაზე, თანამედროვე მონობის აღმოფხვრაზე და ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

მონიტორინგი და ანგარიშგება

მუდმივი გაუმჯობესებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად შპს "ბახვი 2" იყენებს მონიტორინგისა და ანგარიშგების შემდეგ მექანიზმებს:

- შიდა და გარე აუდიტები: რეგულარული შიდა და მესამე მხარის აუდიტი, რათა შეფასდეს ადამიანის უფლებების პოლიტიკასთან შესაბამისობა, დროულად გამოვლინდეს პოტენციური რისკები და დეტალურად გაკონტროლდეს შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობა. ყოველი ფინანსური წლის ბოლოს პროცესების სისტემური ანალიზი და ანგარიშგება.
- შესრულების მაჩვენებლები: ადამიანის უფლებების დაცვის შესრულების მონიტორინგი ძირითადი მაჩვენებლების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს, მაგალითად, დაფიქსირებული ინციდენტების რაოდენობას, ადამიანის უფლებების საკითხებზე გაწვრთნილი თანამშრომლების პროცენტულ წილს და გატარებული გამოსასწორებელი ღონისძიებების სტატისტიკას
- საჯარო ანგარიშგება: ადამიანის უფლებების დაცვის შესრულების შესახებ ყოველწლიური ანგარიშების წარდგენა დირექტორთა საბჭოსთვის და შესაბამისი განახლებების შეტანა მდგრადობის ანგარიშებში საჯარო გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.
- დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა: რეგულარული თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ადგილობრივ თემებთან და დარგის ექსპერტებთან, მათი მოსაზრებებისა და უკუკავშირის მოსაპოვებლად, რაც საშუალებას გვაძლევს საჭიროების შემთხვევაში გავაუმჯობესოთ ჩვენი ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის პროცესი.
- ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის პროცესი და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რისკების მართვის სამოქმედო გეგმა გადაისინჯება ყოველწლიურად, ფინანსური წლის დასასრულს.

2025 წლის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რისკების მართვის სამოქმედო გეგმის დეტალები იხილეთ დანართი #1-ში.

ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის წლიური გადახედვის პროცესი

საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების კარგი პრაქტიკებისა და სტანდარტების შესაბამისად, ყოველი წლის ბოლოს, ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლა კომპანიის მიერ სრულყოფილად გადაიხედება. აღნიშნულ პროცესს მართავს კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი და უზრუნველყოფს, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ზუსტად ასახავს მიმდინარე შეფასებებს, შესრულების მაჩვენებლებსა და ოპერირების პრაქტიკებს.

ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, განახლებული დოკუმენტაცია გადის მკაცრ დამტკიცების პროცესს. თავდაპირველად, შემოთავაზებული ცვლილებები რევიზიისა და დამტკიცებისათვის გადაეცემა კომპანიის დირექტორს. დირექტორის ვალიდაციის შემდეგ, დოკუმენტაცია ეგზავნება კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის (CCEH) გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და მდგრადობის ხელმძღვანელს, საბოლოო რევიზიისა და დამტკიცებისათვის.

ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ თითოეული ცვლილება ასახავს მაღალი ხარისხის სტანდარტებს, გამჭვირვალობას და რეგულაციების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინფორმირებული არიან ცვლილებების შესახებ, რაც აძლიერებს ჩვენს ვალდებულებას შევინარჩუნოთ მაღალი საერთაშორისო სტანდარტები.

კომპანიის განახლებული ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება კომპანიის ვებგვერდზე. მისი ძველი ვერსია კვლავ ხელმისაწვდომი რჩება ვებ გვერდზე, არქივის განყოფილებაში.

დანართი N1

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რისკების მართვის სამოქმედო გეგმა.

ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის (HRDD) პროცესის შედეგად გამოვლენილი მიგნებების საფუძველზე, შპს "ბახვი 2"-მა შეიმუშავა 2025 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია გამოვლენილი ადამიანის უფლებათა რისკებისა და ხარვეზების მართვა. ეს სამოქმედო გეგმა რეგულარულად ახლდება, რათა აისახოს ახალი რისკები და გაუმჯობესების საჭირო არეალები.

სამოქმედო არეალი	მიზანი	საჭირო ქმედებები	პასუხისმგებელი გუნდი	დროის ჩარჩო (2025)	შესრულების ინდიკატორები
თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა	სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების გაძლიერება	ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების ყოვლისმომცველი შეფასება ყველა საოპერაციო ზონაში; საგანგებო რეაგირების გეგმების განახლება და შესაბამისი განხორციელება; რეგულარული ტრენინგები ყველა თანამშრომლისა და კონტრაქტორისთვის; ინციდენტების მონიტორინგი და ანგარიშგება; თემის უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჰიდროელექტროსადგურის გავლენის არეალში ტრენინგების ჩატარება და შესაბამისი პროგრამების განხორციელება	H&S გუნდი	Q1 – Q4	2025 წლის ბოლომდე დაგეგმილი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ღონისძიებების 90%-იანი განხორციელება და ყველა საოპერაციო ობიექტზე სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა
ადგილობრივი თემების წვდომა წყლის რესურსებზე	მდინარის წყლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	წყლის ხარისხის რეალურ დროში მონიტორინგი; თემისთვის სუფთა წყლის რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა; ადგილობრივი თემების ჩართვა წყლის ხელმისაწვდომობის საკითხებზე; განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით მათი მუდმივი ინფორმირებულობა	ESG გუნდი	Q1 – Q4	ჰიდროელექტროსადგურის ზემოქმედების არეალში მცხოვრები პირებისთვის წყლის უწყვეტი და უსაფრთხო ხელმისაწვდომობის 100%-იანი უზრუნველყოფა, რაც მიიღწევა მშენებლობის პერიოდში ნულოვანი დაბინძურებითა და წყლის ხარისხისა და ბიომრავალფეროვნების მუდმივი მონიტორინგით
გარემოს დაცვა	გარემოზე ზეგავლენის შემცირება	გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმისა და შემარბილებელი ღონისძიებების სისტემური განხორციელება;	ESG გუნდი	მიმდინარე	გარემოსდაცვით რეგულაციებთან 95%-იანი შესაბამისობა; სერიოზული გარემოსდაცვითი

		გარემოსდაცვით საკითხებსა და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შესახებ თემების მაქსიმალური ინფორმირებულობა			შემთხვევების თავიდან არიდება; ყველა შემარბილებელი ღონისძიების სრულად განხორციელება
დისკრიმინაციის აღმოფხვრა	ინკლუზიური სამუშაო გარემოს მხარდაჭერა	დივერსიფიკაციის ტრენინგების ჩატარება; დისკრიმინაციის საწინააღმდეგო პოლიტიკის დანერგვა	იურიდიული/ ESG გუნდი	Q1 – Q4	დივერსიფიკაციის და ინკლუზიურობის მაჩვენებლების ზრდა
მომწოდებლების ზედამხედველობა	ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა	მომწოდებლების აუდიტების განხორციელება; ადამიანის უფლებათა დებულებების ინტეგრაცია	შესყიდვების გუნდი	Q1 – Q4	აუდიტირებული მომწოდებლების პროცენტული მაჩვენებელი
სამართლიანი ანაზღაურება	სამართლიანი კომპენსაციის უზრუნველყოფა	ხელფასების სტრუქტურის გადახედვა და კორექტირება; ანაზღაურების აუდიტების ჩატარება	იურიდიული/ ფინანსური გუნდი	Q3 – Q4	თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის გაუმჯობესება
სამუშაო ძალის შემცირება და სამართლიანი გარდამავალი პროცესი	სამუშაო ძალის შემცირების პროცესის გამჭვირვალე და სამართლიანი განხორციელების უზრუნველყოფა მშენებლობის ინტენსივობის შემცირების პერიოდში	სამუშაო ძალის შემცირების პროცესის განხორციელება ადამიანური რესურსების პოლიტიკის შესაბამისად, წინასწარი ინფორმირების, გამჭვირვალე კომუნიკაციის, დროული ანაზღაურებისა და სათანადო დოკუმენტირების უზრუნველყოფით.	იურიდიული გუნდი / ESG გუნდი / ფინანსური გუნდი	Q4	ყველა თანამშრომელი წინასწარ ინფორმირებულია, საბოლოო ანაზღაურებები სრულად და დროულად გაცემულია და არ არსებობს გადაუჭრელი საჩივრები აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით
ტრენინგი და შესაძლებლობების გაძლიერება	ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების შესახებ	რეგულარული ტრენინგების ჩატარება ადამიანის უფლებების შესახებ	ESG გუნდი	მიმდინარე	ადამიანის უფლებების ტრენინგში მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებელი